

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი-ს ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული უწყისი

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ახსნა-განმარტებები კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებებში

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

ფინანსური მდგომარეობის უწყისი						
	შენიშვნა	31.12.2024		31.12.2023		31.12.2022
აქტივები						
გრძელვადიანი აქტივები						
ძირითადი საშუალებები	1	3,294,747		562,900		420,469
არამატერიალური აქტივები		49,720	0	14,915		9,616
გუდვილი	2	52,386	0	52,386	0	0
		3,396,853		630,201		430,085
მოკლევადიანი აქტივები						
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	1,031,364	0	127,098	0	195,100
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	1,227,823	0	370,114	0	116,641
მარაგები	6	3,055,605	0	2,055,410	0	3,055,530
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	1,443,374	0	1,095,000	0	1,134,164
გაცემული მოკლევადიანი სესხები		152,950	0	59,001	0	25,000
		6,911,117		3,706,623		4,526,436
მთლიანი აქტივები		10,307,970		4,336,824		4,956,521
მთლიანი კაპიტალი						
საწესდებო კაპიტალი		225,000	0	0	0	200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,740,885		1,201,549		613,506
გადაფასების რეზერვი						
		3,965,885		1,201,549		613,706
ვალდებულებები						
გრძელვადიანი ვალდებულებები						
გრძელვადიანი სესხები	8	3,125,114	0	371,043	0	0
ანარიცხები						
		3,125,114		371,043		0
მოკლევადიანი ვალდებულებები						
მოკლევადიანი სესხები		385,152	0	9,802	0	229,444
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		491,065	0	470,685	0	10,500
გადასახდელი ხელფასი		15,408	0	2,500	0	6,900
სხვა ვალდებულებები		4,269	0	2,457	0	48,118
მიღებული ავანსები		2,321,078	0	2,278,789	0	4,047,853
		3,216,972		2,764,232		4,342,815
მთლიანი ვალდებულებები		6,342,086		3,135,275		4,342,815
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10,307,971		4,336,824		4,956,521

დირექტორი

ლევან ყირიმლიშვილი

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენტურს ჰოლდინგი

ფინანსური მდგომარეობის უწყისი				
	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	3,294,747	562,900	420,469
არამატერიალური აქტივები		49,720	14,915	9,616
გუდვილი	2	52,386	52,386	0
		3,396,853	630,201	430,085
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	1,031,364	127,098	195,100
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	1,227,823	370,114	116,641
მარაგები	6	3,055,605	2,055,410	3,055,530
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	1,443,374	1,095,000	1,134,164
გაცემული მოკლევადიანი სესხები		152,950	59,001	25,000
		6,911,117	3,706,623	4,526,436
მთლიანი აქტივები		10,307,970	4,336,824	4,956,521
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		225,000	0	200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,740,885	1,201,549	613,506
გადაფასების რეზერვი				
		3,965,885	1,201,549	613,706
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	3,125,114	371,043	0
ანარიცხები				
		3,125,114	371,043	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		385,152	9,802	229,444
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		491,065	470,685	10,500
გადასახდელი ხელფასი		15,408	2,500	6,900
სხვა ვალდებულებები		4,269	2,457	48,118
მიღებული ავანსები		2,321,078	2,278,789	4,047,853
		3,216,972	2,764,232	4,342,815
მთლიანი ვალდებულებები		6,342,086	3,135,275	4,342,815
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10,307,971	4,336,824	4,956,521

დირექტორი



ლევან ყირიმლიშვილი

ს/კ 405505984



ს/კ 405505984

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

<u>მოგება ზარალი</u>			
	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი შესრულებული სამუშაოდან		16,510,135	8,236,422
სამუშაოს თვითირებულება		(9,496,479)	(5,576,265)
საერთო მოგება		7,013,657	2,660,157
სხვა შემოსავლები		91,375	223,553
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(1,914,408)	(1,590,127)
ამორტიზაცია		(115,871)	(91,093)
სხვა ხარჯი			
ხელფასი		(2,081,245)	(568,651)
საოპერაციო მოგება		2,993,508	633,839
საკურსო სხვაობა		(164,420)	(12,174)
ფინანსური შემოსავალი		4,337	6,203
სხვა ხარჯი		(85,310)	
ფინანსური ხარჯი		(208,780)	(39,825)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(454,172)	(45,796)
მოგება დაბეგვრამდე		2,539,336	588,043
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		2,539,336	588,043
სხვა სრული შემოსავალი:			
წინა პერიოდის ცვლილება			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,			
მთლიანი სრული შემოსავალი		2,539,336	588,043

დირექტორი

ლევან ყირიმლიშვილი

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენტურს ჰოლდინგი

<u>მოგება ზარალი</u>				
	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი	
შემოსავალი შესრულებული სამუშაოდან		16,510,135	8,236,422	
სამუშაოს თვითორიერებულება		(9,496,479)	(5,576,265)	
საერთო მოგება		7,013,657	2,660,157	
სხვა შემოსავლები		91,375	223,553	
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(1,914,408)	(1,590,127)	
ამორტიზაცია		(115,871)	(91,093)	
სხვა ხარჯი				
ხელფასი		(2,081,245)	(568,651)	
საოპერაციო მოგება		2,993,508	633,839	
საკურსო სხვაობა		(164,420)	(12,174)	
ფინანსური შემოსავალი		4,337	6,203	
სხვა ხარჯი		(85,310)		
ფინანსური ხარჯი		(208,780)	(39,825)	
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(454,172)	(45,796)	
მოგება დაბეგვრამდე		2,539,336	588,043	
მოგების გადასახადი				
წმინდა მოგება		2,539,336	588,043	
სხვა სრული შემოსავალი:				
წინა პერიოდის ცვლილება				
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,				
მთლიანი სრული შემოსავალი		2,539,336	588,043	

დირექტორი

/3 405505984



ლევან ყირიმლიშვილი

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებე ლი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	200		613,506	613,706
				-
წმინდა მოგება	-	-	588,043	588,043
სხვა სრული შემოსავალი	(200)	-	-	(200)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	588,043	588,043
				-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
				-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	1,201,549	1,201,549
				-
წმინდა მოგება	-	-	2,539,336	2,539,336
სხვა სრული შემოსავალი	225,000		-	225,000
პერიოდის სრული შემოსავალი	225,000	-	2,539,336	2,764,336
გაცემული დივიდენდი	-	-		-
				-
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	-	-
				-
2024 წლის 31 დეკემბერი	225,000	-	3,740,885	3,965,885

დირექტორი

ლევან ყირიმლიშვილი

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენტურს ჰოლდინგი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებე ლი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	200		613,506	613,706
წმინდა მოგება	-	-	588,043	588,043
სხვა სრული შემოსავალი	(200)	-	-	(200)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	588,043	588,043
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	1,201,549	1,201,549
წმინდა მოგება	-	-	2,539,336	2,539,336
სხვა სრული შემოსავალი	225,000	-	-	225,000
პერიოდის სრული შემოსავალი	225,000	-	2,539,336	2,764,336
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	225,000	-	3,740,885	3,965,885

დირექტორი



ლევან ყირიმლიშვილი



ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

ფულადი ნაკადის მოძრაობის უწყისი				
(პირდაპირი მეთოდი)				
			2024 წელი	2023 წელი
ფული პერიოდის დასაწყისში			127,097.87	195,100
საოპერაციო საქმიანობა			956,547.50	-87,830.98
მყიდველებიდან შემოსული ფული			15,652,426.00	7,982,949.00
მომწოდებლებზე გადახდილი ფული			-12,157,647.00	-7,206,340.00
გაცემული ხელფასი			-2,081,244.50	-568,650.98
გადახდილი გადასახადი			-456,987.00	-295,789.00
სხვა ხარჯები				
საინვესტიციო საქმიანობა			-2872924	-256390
შემენილი ძირითადი საშუალებები			(2,872,924)	(256,390)
შემოსავალი გაყიდული ძირითადი საშუალებებიდან				
გაცემული სესხი				
ფინანსური საქმიანობა			2,820,642.21	276,218.42
აღებული სესხი			3,129,422	371,043
დაბრუნებული სესხი				
გაცემული სესხი			(100,000)	(55,000)
გადახდილი პროცენტები			(208,780)	(39,825)
sakurso sxvaoba				
ფულის მოძრაობა პერიოდის განმავლობაში			904,266	(68,003)
ფული პერიოდის ბოლოს			1,031,364	127,098

დირექტორი

ლევან ყირიმლიშვილი

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენტურს ჰოლდინგი

ფულადი ნაკადის მოძრაობის უწყისი

(პირდაპირი მეთოდი)

	2024 წელი	2023 წელი
ფული პერიოდის დასაწყისში	127,097.87	195,100
საოპერაციო საქმიანობა	956,547.50	-87,830.98
მყიდველებიდან შემოსული ფული	15,652,426.00	7,982,949.00
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	-12,157,647.00	-7,206,340.00
გაცემული ხელფასი	-2,081,244.50	-568,650.98
გადახდილი გადასახადი	-456,987.00	-295,789.00
სხვა ხარჯები		
საინვესტიციო საქმიანობა	-2872924	-256390
შემენილი ძირითადი საშუალებები	(2,872,924)	(256,390)
შემოსავალი გაყიდული ძირითადი საშუალებებიდან		
გაცემული სესხი		
ფინანსური საქმიანობა	2,820,642.21	276,218.42
აღებული სესხი	3,129,422	371,043
დაბრუნებული სესხი		
გაცემული სესხი	(100,000)	(55,000)
გადახდილი პროცენტები	(208,780)	(39,825)
sakurso sxvaoba		
ფულის მოძრაობა პერიოდის განმავლობაში	904,266	(68,003)
ფული პერიოდის ბოლოს	1,031,364	127,098

რექტორი

მ. ყაი

ლევან ყირიმლიშვილი

405505984



ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი 405505984 დაფუძნდა 2022 წლის 07 თებერვალს .

ორგანიზაციის 100 % აქციათა მფლობელი არის მალხაზ ყირიმლიშვილი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს წყალგაყვანილობის გათბობის და ჰაერის კონდიციონერების სისტემების მონტაჟი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა ერთ შვილობილ კომპანიას:

- 1, შპს ბაუმერი 405170933 ხელმძღვანელი: რევაზ ქამაშიძე
დამფუძნებელი: შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი 405505984 100%-ნი წილი

ხოლო 2024 წლიდან ფლობს ხუთ შვილობილ კომპანიას :

- 1, შპს ბაუმერი 405170933 ხელმძღვანელი: რევაზ ქამაშიძე
დამფუძნებელი: შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი 405505984 100%-ნი წილი

- 2, შპს ლეიაუთ ფროჯექტი - 405433188 ხელმძღვანელი: რევაზ ქამაშიძე
დამფუძნებელი: შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი 405505984 100%-ნი წილი

- 3, შპს ველტ თრეიდი 405427195 ხელმძღვანელი: ცოტნე შერმადინი
დამფუძნებელი: შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი ს.ნ: 405505984 - 100%

- 4, შპს ეარ ტოპი 405670876 ხელმძღვანელი: შალვა ხურციძე
დამფუძნებელი: შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი ს.ნ: 405505984 - 100%

- 5, შპს ეარ ტოპ სერვისი 405717988 ხელმძღვანელი: შალვა ხურციძე
დამფუძნებელი: შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი ს.ნ: 405505984 - 100%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ანგარიშგების წარდგენის დღემდე კომპანიის დირექტორი იყო - **ლევან ყირიმლიშვილი,**

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

1. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს სტანდარტის შესაბამისად. და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს სტანდარტის შესაბამისად. კლასიფიკაციის, აღიარებისა და გაზომვის პრინციპების საფუძველზე და მომზადებულია იმ მიზნით რომ კომპანიამ მოახდინოს 35 განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როდესაც კომპანია მოამზადებს ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ კომპლექტს.

3. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსურ ანგარიშგებას.

კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაზე; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე.

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;

- კომპანიის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გათავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი. საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან. ყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ძირითად საშუალებებად კლასიფიცირებული შენობების და სხვა ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

4 . მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს სტანდარტის

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

შესაბამისად. და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ძირითად საშუალებებად კლასიფიცირებული შენობების (კლინიკების) სხვა სამედიცინო აპარატურის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

5. ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

6. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ფინანსური აქტივები

მსს სტანდარტის 11 განყოფილების შესაბამისად, ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას. კომპანიას არ აქვს გასაყიდად გამიზნული ან სამართლიანი ღირებულებით აღიარებული და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები. ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შემენის ან წარმოშობის მიზანზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა,

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად.

აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შემოზღუდვის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემოზღუდვის თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაიქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები - ბალანსზე თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

შენობები და ნაგებობები	30-50
manqana-danadgarebi	10-15
ავეჯი, kompiuteri, telefoni	5
სატრანსპორტო საშუალებები	8

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (თვითღირებულების მუხლში),

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

გადასახადი

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

მოგების გადასახადი

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981 მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამოწვევების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საზოგადოება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

☐ კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

☒ სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

☒ შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

საკუთარი კაპიტალი

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა და კომპანიის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

შენიშვნები: 1

შენიშვნა: 1								
ძირითადი საშუალებები								
ძირითადი საშუალებები	საინვესტიციო ქონება	მანქანა დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული	სამუშაო ინვენტარი და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მაუზთავერები მშენებლობა	სულ
31 დეკემბერი 2023	6,500	15,803	253,759	28,361	230,665	118,906	-	653,993
შემოსვლა			221,939	54,708	133,759	241,429	2,221,089	2,872,924
გადაფასება								-
გასვლა			23,003	2,203				25,206
31 დეკემბერი 2024	6,500	15,803	452,695	80,866	364,423	360,335	2,221,089	3,501,711
ცვეთა და გაუფასურება								-
31 დეკემბერი 2023		3,304	41,272	2,313	35,544	8,660	-	91,093
პერიოდის ცვეთა		1,308	46,404	7,353	38,059	22,747		115,871
გასვლა								-
31 დეკემბერი 2024		4,612	87,676	9,666	73,603	31,407	-	206,964
წმინდა საბალანსო ღირებულება								-
31 დეკემბერი 2023	6,500	12,499	212,487	26,048	195,121	110,246	-	562,900
31 დეკემბერი 2024	6,500	11,191	365,019	71,200	290,820	328,928	2,221,089	3,294,747

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები				
		31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
	ფულადი სახსრები სალაროში	258,754.79	2,637.17	1,460.69
	ფულადი სახსრები ბანკებში	772,609.20	124,460.42	193,639.74
		1,031,363.99	127,097.59	195,100

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაგენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები (საბანკო ანგარიშები) და მათი ეკვივალენტები - მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

<u>სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები</u>				
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურე	1,234,039.40	381,330.45	127,857.00	
	-6,216.16	-11,216.16	-11,216.16	
საექვო ვალები რეზერვი				
	<u>1,227,823.24</u>	<u>370,114.29</u>	<u>116,640.84</u>	

კომპანიის ფინანსური სამსახურის გათვლებით, პროდუქციის ღირებულებიდან მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების მიღება, რითაც შეიქმნა იუმედო დებიტორების რეზერვი.

შესაბამისად ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით.

<u>მარაგები</u>				
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
საქონელი	2,624,059.48	1,595,139.43	2,195,167.44	
დაუმთავრებელი წარმოება	382,673.11	444,370.36	859,640.71	
სხვა სასაქონლო მარაგები	48,872.82	15,900.28	722.10	
	<u>3,055,605.41</u>	<u>2,055,410.07</u>	<u>3,055,530.25</u>	

<u>სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები</u>				
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
მოთ. ანგარიშ. ვალები. პირის მიმართ	56,821.21	696.42	11,178.18	
წინასწარ გაწეული ხარჯი	26,750.69	563.06	3,840.00	
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	520,807.58	353,517.31	195,812.14	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	534,845.07	300,282.26	338,005.06	
წინასწარ გადახდილი გადასახადი	304,149.53	439,941.30	585,328.84	
	<u>1,443,374.08</u>	<u>1,095,000.35</u>	<u>1,134,164.22</u>	

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31,12,2024		31,12,2023		31,12,2022
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	480,664.74		460,284.69		
გადასახდელი იჯარა	10,400.00		10,400.00		10,500.00
	491,064.74		470,684.69		10,500.00

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგი

კომპანიის კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება წინა წლების გაუნაწილებელი მოგებისა და გადაფასების რეზერვებისგან და ასევე მიმდინარე წლის ზარალისგან.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსურ ანგარიშგება მომზადებულია 2025 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი

ფინანსური ანგარიშგება-- შპს ინფინიტი ვენტურს ჰოლდინგი

კომპანიის კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება წინა წლების გაუნაწილებელი მოგებისა და გადაფასების რეზერვებისგან და ასევე მიმდინარე წლის ზარალისგან.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსურ ანგარიშგება მომზადებულია 2025 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი



ლევან ყირიმლიშვილი